ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასწავლო გეგმის მიზნების გასახორციელებლად საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი ,,schoolbook“. კომპიუტერულ ლაბორატორიაში იყო 9 კომპიუტერი, ასევე, არის 5 კომპიუტერი(კომპლექტი). სკოლას აქვს ასევე, 7-პროექტორი, 1- მულტიფუნქციური პრინტერი. სკოლის მთელი პერიმეტრი არის უკაბელო ინტერნეტის (WI_FI) დაფარვით. სკოლას ინტერნეტის მიწოდებასთან ხელშეკრულება გაფორმებული აქვს კომპანია სს ,,სილქნეტთან.'' სკოლას აქვს ვებგვერდი www.mes.edu.ge , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი რეგულაციები, საკონტაქტო ინფორმაცია, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები, ასევე, დაინტერესებული პირებისთვის სხვა სახის მოთხოვნადი ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• www.mes.edu.ge • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით, 6 ცეცხლმაქრი განთავსებულია საევაკუაციო გეგმებში მითითებულ ადგილებზე, გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პროექტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოების მექანიზმები, განსახორციელებელი ღონისძიებები, სკოლის ვიდეოთვალის სისტემით აღჭურვის, ადმინისტრირების, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების წესი. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მანდატურის სამსახურის, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები. შენობის დაცვას უზრუნველყოფენ დაცვის თანამშრომლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადები -ცეცხლმაქრების დამუხტვაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შედგენილია მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, სკოლის შენობის პარამეტრების გათვალისწინებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით განაგებულია 6 ცეცხლმაქრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი,რომელიც აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სამედიცინო კაბინეტში არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებები, ასევე, არის ონკანი ნიჟარით, სამუშაო მაგიდა, კარადა, ტახტი, მაცივარი, გამოყოფილია გასასინჯი სივრცე. საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექიმთან. მან უნდა აწარმოოს სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა, ევალება მოსწავლეებისთვის არა მარტო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, არამედ მათი ჯანმრთელობის მონიტორინგის გაწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის "სამედიცინო კაბინეტის დებულება" • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები" პროექტი, რომელსაც შეათანხმებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროთან ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამონტაჟებულია 35 ვიდეო კამერა, რომლებიც სრულად აკონტროლებენ როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრს. კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • კამერების ფლობის/ჩუქების დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი რეგულაციები. სკოლის წესდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არის შემუშავებული. წესდებით რეგულირდება საზოგადოების მართვა, საზოგადოების ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობა, დამფუძნებელთა საბჭოს უფლებამოსილება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაციის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები; სკოლის დებულება, დამტკიცებულია ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 8 ივლისის N01-02 ბრძანებით. სკოლის დებულებით რეგულირდება: სკოლის სტატუსი; საქმიანობის საგანი და მიზანი; სკოლის სტრუქტურა და მართვა; სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებულთა ფუნქციები, უფლება-მოვალეობები; სასწავლო პროცესის დაგეგმვა; სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა; მოსწავლის პირადი საქმისწარმოება; სკოლის ფინანსები. სკოლის შინაგანაწესი, დამტკიცებულია ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 8 ივლისის N01-04 ბრძანებით. შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის საქმიანობის პრინციპები და სასკოლო საზოგადოების წევრების უფლება-მოვალეობები, მოსწავლის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა მათი დარღვევისათვის, მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ფაქტზე დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის წესი. განსაზღვრულია გარდამავალი და დასკვნითი დებულებები. დაწესებულების ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობები რეგულირდება შესაბამისი დებულებებით (სამედიცინო კაბინეტის დებულება, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა, სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, მშობლებთან კომუნიკაციის წესიხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები), ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ცალკეული პროცესები/შემთხვევები წესრიგდება დირექტორის ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება • სკოლის დებულება • სკოლის შინაგანაწესი • სამედიცინო კაბინეტის დებულება • სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა • სკოლის ბიბლიოთეკის დებულება • მშობლებთან კომუნიკაციის წესიხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება • სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი • სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 10 ივლისის N01-07 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ; სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; მონიტორინგი და შეფასება; სტრატეგიული მიზნები. სტრატეგიული განვითარების გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. გეგმაში განსაზღვრულია სამი სტრატეგიულ მიზანი: 1. კურიკულუმის განვითარება; 2. ინსტიტუციური განვითარებ; 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზნები ჩაშლილია ამოცანებად, განაწილებულია დროში, გაწერილია ამოცანების შესაბამისი ინდიკატორები და მტკიცებულებები. სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივად მიღწევას. დოკუმენტში წარმოდგენილია თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები, გაწერილი თვეების მიხედვით, თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, მტკიცებულებები და ფინანსური რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 7 ივლისის N01-01 ბრძანებით. წესი არეგულირებს დაწესებულებაში დოკუმენტაციის მიღების, შესრულების, გაგზავნის, აგრეთვე, მმართველობითი ხასიათის აქტების, საქმიანი დოკუმენტების აღრიცხვის და მასთან დაკავშირებული საქმიანობის წესებს. დოკუმენტბრუნვის პროცესზე პასუხისმგებელია საქმიანი დოკუმენტაციის მენეჯერი. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. აღრიცხვისვის გამოიყენება სარეგისტრაციო ჟურნალები: საერთო ბრძანების; საკადრო ბრძანების; შემოსული დოკუმენტაციის; გასული დოკუმენტაციის; შრომითი ხელშეკრულებების; საგანმანათლებლო მომსახურების; მემორანდუმების, მომსახურების, შესყიდვების; ოქმების. თითოეული შეკერილია, დანომრილია და ბეჭედდასმულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი • სარეგისტრაციო ჟურნალები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავს შემდეგი ადამიანური რესურსი: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ფსიქოლოგი; საქმიანი დოკუმენტების მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; სამეურნეო მენეჯერი; საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი; ბიბლიოთეკის მენეჯერი; ექიმი; დაცვის 2 თანამშრომელი; მზარეული; დასუფთავების სპეციალისტი; 14 მასწავლებელი (7 უფროსი, 5 მოწვეული, 2 მასწავლებელს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა და გავლილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლის მომზადების 60კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა). წარმოდგენილი ადამიანური რესურსი გათვლილია სკოლაში პირველი ექვსი კლასის დაკომპლექტების შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• http://teacherjobs.ge/ • ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	14
მოწვეული/მაძიებელი	5/0
უსტატუსო მასწავლებლი	2
უფროსი მასწავლებლი	7
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ამ ეტაპზე ყველა მასწავლებელი შერჩეული არიან კონკურსის წესით. მოწვეული მასწავლებლები, თუმცა გამოცხადებულია ვაკანსიები ვაკანტურ ადგილებზე და სკოლა მასწავლებელთა მიღების დროს იხელმძღვანელებს კანონმდებლობის სრული დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• http://teacherjobs.ge/ • ხელშეკრულებები • საკონკურსო ოქმები(ოქმი N1. 20/07/2022; ოქმი N2. 25/07/2022).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „ჩემი ევროპული სკოლის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. წარმოდგენილი პოლიტიკის მიზანია, მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, სკოლაში დანერგოს პერსონალის მართვის გამჭვირვალე სისტემა, რასაც უნდა დაეფუძნოს სკოლის წარმატება. შესაბამისად დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლაში პერსონალის დაგეგმვის, სამუშაოზე აყვანის და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ზოგად წესები, სამუშაო გარემოს ორგანიზება, ახალი თანამშრომლების ადაპტაციის, განვითარების, წახალისების და შეუფერებელი ქცევის/დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ჩადენის შემთხვევაში, შესაბამის დისციპლინურ ზომის გამოყენების წესი. დოკუმენტში პერსონალის მართვა განხილულია როგორც უწყვეტი ციკლი და დოკუმენტის მიხედვით უნდა დაარეგულიროს ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა: ადამიანური რესურსის დაგეგმვა, ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატების მოზიდვა, შერჩევა და დასაქმება, შრომითი ურთიერთობების რეგულირება, ახალი თანამშრომლების ადაპტაცია და ორგანიზაციული ორიენტაცია, შრომის ანაზღაურება და წახალისება, დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობები, თანამშრომელთა შეფასება და კმაყოფილების მონიტორინგი, პერსონალის მოტივაცია, პროფესიული განვითარება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. სკოლაში მასწავლებლის სამუშაოზე აყვანა ხორციელდება ღია ან დახურული კონკურსის წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ-ით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. კონკურსის გარეშე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

	სკოლაში სამუშაოდ მიიღებიან მოწვეული მასწავლებლები და შემცვლელი მასწავლებლები და მათთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები ვაკანტური ადგილების გამოცხადების შესახებ, ოქმები რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ მოახდინა წარმოდგენილი ვაკანსიების განხილვა, გადარჩევა და გასაუბრება. ამავე დოკუმენტის მე-4 თავში დაწვრილებითა განსაზღვრული პერსონალის მოტივირების მექანიზმები , ხოლო მე-5 თავით განსაზღვრულია სკოლის თანამშრომლის პასუხისმგებლობა დისციპლინის დაღვევისთვის დაწესებულება თვლის, რომ სკოლის წარმატებას დასაქმებული პერსონალის მოტივაცია განსაზღვრავს და შესაბამისად, თანამშომელთა მოტივაციის შენარჩუნება/გაზრდა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სკოლისთვის, შინაგანი მოტივაციის გასაზრდელად, სკოლა ცდილობს, გააძლიეროს თანამშრომლის ჩართულობა, რისთვისაც გეგმავს ჩაატაროს კვლევები, იზრუნოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის ჩართულობაზე და დაამკვიდროს მონაწილეობითი მენეჯმენტი. შინაგანი მოტივაციის ხელშესაწყობად სკოლაში ასევე აღინიშნება მიღწევები, ხორციელდება თანამშრომლების აღიარება, მოქმედებს წახალისების მექანიზმები. გარეგანი მოტივაციისათვის, სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი სახელფასო ანაზღაურების შეთავაზებას პერსონალის კომპეტენციის და თანამდებობისათვის დადგენილი დიაპაზონის შესაბამისად. პერსონალის წახალისების მიზნით განსაზღვრულია მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემიის გაცემა და ფასიანი საჩუქრის გადაცემა. რაც შეეხება სანქციებს ის განსაზღვრულია დისციპლინის დარღვევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და ასევე სკოლის მასწავლებლის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ოქტომბრის №57/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევის შემთხვევაში და გაწერილია სკოლის თანამშრომლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი. მასწავლებლის შესაძლო დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე და კონკრეტული ზომის გამოყენებაზე უფლებამოსილია სკოლის დირექტორი, რომელიც სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, საკითხს შესასწავლად გადასცემს დისციპლინურ კომიტეტს. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ასევე ინტერესთა კონფლიქტი და დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობის გარემოებები, დისციპლინური კომიტეტის მიერ საქმის გარემოებათა გამოკვლევის წესი, დისციპლინური წარმოების მასალების გაცნობის უფლება, დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის წარმოების წესი პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დაწესებულება ხელმძღვანელობს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული საფუძვლებით და წესით (ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებულთა შემთხვევაში) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრული საფუძვლებით (მასწავლებლების შემთხვევაში) ამრიგად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა. აღნიშნული დოკუმენტი დაწესებულებას განთვსებული აქვს სკოლის ვებგვერდზე, რაც განაპირობების მის ცნობადობას სკოლის პერსონალისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის დირექტორის ბრძანება N 01-05 ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელთან, ადმინისტრაცია, ტექნიკურ პერსონალთან, 14 პედაგოგთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები (მათში ასახულია შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები) და რეგისტრირებულია ხელშეკრულების სარეგისტრაციო შურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები • ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნელები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიზანია, შექმნას გარემო, სადაც თითოეული დასაქმებული თანასწორუფლებიანია და აქვს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. შესაბამისად მას დაგეგმილი აქვს მთელი რიგი აქტივობები დასაქმებულთა პროფესიული განვითარებისათვის. სტატუსების მიხედვით შრომითი ხელშეკრულებების დადებისას გაითვალისწინება მასწავლებლისთვის და სპეციალური მასწავლებლისთვის ფუნქციური დატვირთვის და უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულებები, სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების გზაზე პირველი ნაბიჯი თანამშრომელთა მუშობის შეფასებაა. პერსონალის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზნად ისახავს, პერსონალის საქმიანობის მონიტორინგს, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და განვითარების დაგეგმვას, შრომითი კმაყოფილების, შრომითი მოტივაციის გაზრდას. მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლის, ასევე, უსტატუსო მასწავლებლის საქმიანობის შეფასების განხორციელება იგეგმება: 1. „ხარისხის განვითარებსა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების“ (2022 წლის 10 ივლისის N01-09 ბრძანება „ხარისხის განვითარებსა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების“ დამტკიცების შესახებ) შესაბამისად, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ასევე ხორციელდება სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ გამოყენებით. 2. სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ (2022 წლის 10 ივლისის N01-12 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დამტკიცების შესახებ)გამოყენებით. სკოლაში ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება იგეგმება რომ განხორციელდება შესაბამისი თანამშრომლის ფუნქციების გათვალისწინებით. თანამშრომელი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენს თვითშეფასებას და შეაფასებს თითოეულ ფუნქციასთან მიმართებით შესრულებულ სამუშაოს სამდონიანი სკალის მეშვეობით. თანამშრომლის თვითშეფასებას გაეცნობა მისი უშუალო ხელმძღვანელი, შეაფასებს, ამოცანები - არის თუ არა მიღწეული და თუ არა, რა მიზეზებით ვერ მოხდა მათი მიღწევა. გათვალისწინებული იქნება ფაქტორები, .რომლებმაც სამუშაოზე მოახდინეს ზეგავლენა (ინდივიდზე დამოკიდებული და დამოუკიდებელი ფაქტორები). საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი თანამშრომელი და ხელმძღვანელი ერთობლივად შეიმუშავებენ პროფესიული განვითარების გეგმას. სკოლის მიერ ორგანიზებული პროფესიული განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ღონისძიებების დასრულების შემდეგ მასში ჩართული თანამშრომლები განახორციელებენ მის შეფასებას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში სკოლა შეაფასებს ღონისძიების ეფექტურობას, თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით. დაწესებულება გეგმავს ადამიანური რესურსის განვითარებისათვის აქტიურად გამოიყენოს შიდა რესურსები (მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და სხვა) ასევე მასწავლებლის სახლის ვებინარები და შემოთვაზებული ტრენინგები, არსებული ონლაინ რესურსები. ამრიგად, დაწესებულებისთვის ადამიანური რესურსის მუდმივი შეფასება მისი პროფესული განვითარების მიზნით, წარმოადგენს ეფექტურად და ეფექტიანად მართვის საშუალებას შესაბამისად მას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ინსტრუმენტები: კითხვარები. პროცესის აღმწერი სქემები, რომლითაც მოახდენს პერსონალის შეფასებას და შემდგომ უკვე მათთან კომუნიკაციით საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმავს პროფესიული განვითარების ეტაპებს/გზებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა • „ხარისხის განვითარებსა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების“ • სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას გამოიკვეთა მათი დამოკიდებულება და პრინციპები, რომლითაც იხელმძღვანელებენ სასკოლო გარემოსა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის. დაწესებულება ორიენტირებულია პოზიტიური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლობითი, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე. გეგმავენ საზოგადოების წევრების ინიციატივის მიღებას და ისეთი იდეების მხარდაჭერას, რომელიც სკოლის განვითარებაზე იქნება მიმართული. სკოლის წარმომადგენლებისათვის პრიორიტეტული იქნება მშობლებთან დროული და ეფექტური კომუნიკაცია, მათი ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეებთან ურთიერთობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, უსაფრთხო ემოციურ და ფიზიკური გარემოს შექმნას, მოსწავლეთა მოტივაციას, შესაძლებლობების რეალიზებას მათი ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა თვლის, რომ მნიშვნელოვანი იქნება სასკოლო საზოგადოების აზრის მოსმენა და გაზიარება. ამისათვის გეგმავს, ანონიმური გამოკითხვების მეშვეობით პერიოდულად შეაფასოს მდგომარეობა და მიიღოს რეკომენდაციები სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული მოლოდინი აქვთ ერთმანენთთან თანამშრომლობის, რადგან აღნიშნავდნენ და მნიშვნელობას ხაზს უსვამენ არა მხოლოდ კათედრაზე თანამშრომლობა, არამედ ერთი კლასის მასწავლებლების გამოცდილების გაზიარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის რესურსების მართვის პოლიტიკა • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

.....თბილისი..... ..... 19/08/2022.....

(შევსების ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა ... 38...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.